

პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე	
პროგრამის სახელწოდება:	ქალის უსარჩულო ქვედა კაბის და კაბის ინდივიდუალური მკერავ - კონსტრუქტორი.
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Individual tailor-designer of Female dress and skirt (without lining)
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	072 - წარმოება და გადამუშავება
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	3 - პროფესიული მომზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	11
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	23
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	30
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	15
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	7
პროგრამის აღწერა	
<p>"ქალის უსარჩულო მსუბუქი ტანსაცმლის ინდივიდუალური მკერავ - კონსტრუქტორი" პროფესიული მომზადების პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის ვისაც სურს შეისწავლოს ქალის ქვედა კაბის სხვადასხვა ვარიანტის თარგის დამზადება ინდივიდუალურ ზომებზე, ასევე სხვადასხვა კაბის თარგის კონსტრუირება. ქვედა კაბის და მთლიანი კაბის მოდელირება. კერვის ზოგადი ტექნოლოგია და ასევე ცალკეული დეტალების დამუშავება, სხვადასხვა ჯიბის, სახელოს, საყელოს, შესაკრავების ტექნოლოგიური დამუშავება. მზა ნაწარმის საბოლოო გასუთავება, თბურდანამკვით</p>	

დამუშავება.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ სამკერვალო სალონებში და ასევე წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 11 კვირა, კვირაში 15-23 სათი .

სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება პროგრამის ბოლოს წერიითი გამოკითხვით და პრაქტიკული დავალების წარმოდგენით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელს შეძლებს ქალის ქვედაკაბის და მთლიანი კაბის ინდივიდუალურ ზომებში კონსტრუირებას, თარგის გამოჭრას და მოდელირების შესრულებას, ასევე თარგის გადატანას ქსოვილზე, მის აკინძვას და კერვას.

დაშვების წინაპირობები

განათლება :საბაზო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

1. ზომების აღება ინდივიდუალურად
2. ქსოვილების და ფურნიტურის შერჩევა ქალის მსუბუქი კაბის, ქვედა კაბის მოდელის შესაბამისად
3. ქვედა კაბის თარგის შესრულება ინდივიდუალურ ზომებში და მოდელირების შესრულება
4. მსუბუქი კაბის თარგის შესრულება ინდივიდუალურ ზომებში და მოდელირების შესრულება
5. თარგის ქსოვილზე გადატანა და გამოჭრა
6. ქვედა კაბისა და მსუბუქი კაბის მასალაში შესრულება, ყველა საჭირო წესის შესაბამისად (სხვადასხვა ხელსაწყოების გამოყენება და კერვა)